



განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი

სკოლის მეთოდოლოგიური გზამკვლევი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით



შესავალი

მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით, სკოლის მეთოდოლოგიური გზამკვლევი, სკოლას, მოსწავლის უფლებების დასაცავად ხელშეწყობისა და უზრუნველყოფისათვის გარკვეული მექანიზმების შემუშავებას სთავაზობს.

არსებობს ბავშვის უფლებების განმარტების ორი ძირითადი პრინციპი: ბავშვის განათლების განვითარების შესაძლებლობები და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების პატივისცემა, რომლებიც ბავშვის უფლებების დაცვისთვის განსაკუთრებულ მიდგომას ეფუძნება.

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის შესაბამისად, ბავშვის უფლებაა იყოს დაცული ნებისმიერი შეურაცყოფისა და დისკრიმინაციისაგან. აღნიშნული მოიცავს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზრუნვის და განვითარების უფლებასაც.

სკოლა სწავლების პროცესში მოსწავლეებისთვის უნდა უზრუნველყოფდეს აზრის თავისუფლებისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ ცოდნის გაღრმავებას. რაც ასევე წარმოშობს სხვათა უფლებების დაცვის შესახებ ცოდნასაც. მოსწავლეების წახალისება მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისთვის, რომ ჩამოაყალიბონ და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები. აზრის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას, მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია მხარდაჭერა, რათა საკუთარი მოსაზრება გამოხატონ მაშინაც კი, როცა უმრავლესობას საწინააღმდეგო შეხედულება აქვს. სკოლა მოსწავლეებს უღვივებს იმ თვითშეგნებას, რომ განსხვავებული მოსაზრებები უნდა მოისმინონ შემწყნარებლობით და გამოხატონ სხვისი მოსაზრებების მიმართ პატივისცემა. განსხვავებულმა მოსაზრებებმა არ უნდა გამოიწვიოს უთანხმოება და დაპირისპირება, რადგან შესაძლებელია კონფლიქტების არაძალადობრივი გზით მოგვარება.

სკოლა მოსწავლეს ეხმარება გაათვითცნობიეროს, თუ როგორ გამოიყენოს ის უფლებები და თავისუფლებები, რომელიც მას აქვს მინიჭებული. მაგალითად, საკუთარი უფლება თავისუფალი აზროვნების, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება. მას აგრეთვე უნდა ჰქონდეს სხვებთან ურთიერთობის საკუთარი გამოცდილება - ჯგუფში თავისი ინტერესების გამოხატვა, დათმობაზე მოლაპარაკებები ან შეთანხმება იმის თაობაზე თუ როგორ განიმარტება „საყოველთაო კეთილდღეობა“ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 29), მას უნდა შეეძლოს წესების ფარგლებში მოქმედება და დაწესებული შეზღუდვების დაცვა.

ამგვარად მოსწავლეები გამოცდილებით იძენენ ღირებულებებს და მათ ასევე გამოცდილებით უყალიბდებათ დამოკიდებულებები, მოსწავლეები ეპყრობიან იმავე პატივისცემით თავიანთ თანატოლებს, რომელთაც აქვთ მასწავლეების მხრიდან პატივისცემით მოპყრობის გამოცდილება. შესაბამისად მნიშვნელოვანია სკოლის მიერ მოსწავლეებთან მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდეს ადამიანის უფლებათა ღირებულებების გაზიარება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მნიშვნელოვანი ფაქტორია ბავშვთა უფლებების დაცვის მექანიზმების არსებობა და მათი გამოყენება.

ნაბიჯი I

ცოდნის ამაღლება:

ბავშვის უფლებები გარანტირებულია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, ასევე ეროვნული კანონმდებლობით. საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც საქართველოს მიერ იქნა რატიფიცირებული, საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ყველა ადამიანს შეუძლია, ისარგებლოს თავისუფალი აზრის უფლებითა და გამოხატვის თავისუფლებით (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 10). მოსწავლეები ასევე უნდა იცნობდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლს, რომელიც ეხება თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპებს.

ადამიანის უფლებები, მათ შორის ბავშვის უფლებათა დაცვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის II თავით. კონსტიტუციით დაცულია ბავშვის სიცოცხლის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, შეკრებების უფლება, სიტყვის, აზრის სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, განვითარების უფლება, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ინიციატივების ხელშეწყობას, მოსწავლის სკოლასთან მიკუთვნებულობის შეგრძნების ხელშეწყობას, ნებისმიერ ეტაპზე და ვითარებაში მოსწავლის მუდმივ ან მდგრად მხარდაჭერას, მოსწავლის აღიარებას, მისი პიროვნების მიძღვრულობის და პატივისცემის, პერსონალური, მენტალური, ემოციური, სოციალური, ფიზიკური და ციფრული უსაფრთხოების დაცვას, განათლების განვითარებისა და მისთვის საუკეთესო ინტერესების დაცვა/რეალიზებას. სკოლა ასევე უზრუნველყოფს მოსწავლის საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მომზადებას მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით, განსაკუთრებით - მშვიდობის, მოქალაქეობრივი შეგნების/აზროვნების, ღირსების, პატივისცემის, შემწყნარებლობის, თანასწორობის, სოლიდარობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობის, ინკლუზიური აზროვნების და მიდგომების ჩამოყალიბების სულისკვეთებით. მნიშვნელოვანია მოსწავლეების მიმართ თანასწორუფლებიანობის დაცვა დისკრიმინაციის გარეშე და ა.შ. ბავშვის უფლებები ცნობს ინდივიდუალურ პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც მათ თანდაყოლილ და დამახასიათებელ უფლებებსა და თავისუფლებებს წარმოადგენს. თუმცა ეს უფლებები არ არის აბსოლუტური. ასევე მნიშვნელოვანია იცოდნენ სხვათა უფლებების დაცვის საჭიროება.

სკოლაში ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ადამიანის უფლებათა სწავლებისათვის დამახასიათებელია სწავლების შემდეგი ასპექტები:

- ❖ **აქტიურობაზე დაფუძნებული სწავლება**, რომელიც მოიცავს იმ ცოდნის გამოყენებას, რომელსაც ფლობენ მოსწავლეები და სთავაზობს მათ აქტივობებს, რომლებიც ავლენს მათ გამოცდილებასა და ცოდნას;
- ❖ **პრობლემის წამოჭრა**, რომელიც წარმოშობს კითხვებს იმ ინფორმაციასთან და ცოდნასთან დაკავშირებით, რომელსაც მოსწავლეები ფლობენ;
- ❖ **ჩართულობა**, რომელიც წახალისებს მოსწავლეებს, კოლექტიურად განმარტონ ცნებები, გაანალიზონ თემები და შეასრულონ აქტივობები;
- ❖ **დიალექტიკური მეთოდი**, რომელიც მოსწავლეებისგან მოითხოვს საკუთარი ცოდნის შედარებას ზოგადონ მისადაგებით;
- ❖ **ანალიტიკური მეთოდი**, როდესაც მოსწავლეები ფიქრობენ და ეძებენ პასუხებს კითხვებზე, თუ რატომ ჩნდება ესა თუ ის მოვლენა და რა მიზეზით არის განპირობებული ამ მოვლენათა წარმოშობა;
- ❖ **პროდუქტიული** - მოსწავლის უფლების წინ წამოწევა, როგორც პიროვნულ, ასევე პიროვნებათშორის ურთიერთობებში;
- ❖ **სტრატეგიულ აზროვნებაზე ორიენტირებული**, რომელიც აიძულებს მოსწავლეებს, დასახონ საკუთარი მიზნები და გამონახონ მათ მისაღწევად საჭირო სტრატეგიული გზები;
- ❖ **მიზანსა და მოქმედებაზე ორიენტირებული**, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, დაგეგმონ მათ მიზნებთან დაკავშირებული მოქმედებები.

ამასთან, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ასაკის შესაბამისად, ადამიანის და ბავშვთა უფლებების დაცვის თაობაზე პერიოდულად ტრენინგის ჩატარებას. ასევე ახალი მოსწავლის შემთხვევაშიც სკოლის უფლებამოსილებაა მათთვის საორიენტაციო პროცესში ადამიანის და ბავშვთა უფლებების შესახებ ტრენინგის სახით ინფორმირება. შესაბამისად, სკოლის მიერ მუდმივ რეჟიმში განხორციელდება მოსწავლეებისთვის, როგორც მათი, ასევე სხვათა უფლებების დაცვის თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესების გაზიარება, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერი დარღვევის ფაქტზე შემდგომი რეაგირებისთვის (მშობლების ჩართულობით) მათ მზადყოფნას. ტრენინგის ფარგლებში, რომელსაც უზრუნველყოფს კლასის ხელმძღვანელი, მნიშვნელოვანია ჯგუფში მოსწავლეებს მიეცეთ თავისი აზრისა და ინტერესების გამოხატვის საშუალება, ასევე მოახდინონ საკუთარი გამოცდილების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაზიარება. კლასის ხელმძღვანელის მიერ კი „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ შესაბამისად (მუხლი 29) განიმარტება „საყოველთაო კეთილდღეობა“, თანაკლასელებს/თანასკოლელებს შორის დათმობაზე მოლაპარაკებები ან შეთანხმებები, რომ თითოეულ მოსწავლეს შეეძლოს წესების ფარგლებში მოქმედება და დაწესებული შეზღუდვების დაცვა. ამასთან, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების განმარტებისას კლასის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვას მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების ეტაპებს, წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის

შესაბამისად. ტრენინგის დასასრულს კლასის ხელმძღვანელმა თითოეული მოსწავლისგან მიიღოს უკუკავშირი კითხვარის სახით, რითიც განსაზღვრავს ტრენინგის მიზნის მიღწევადობას და მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად დაგეგმავს შემდეგ ტრენინგს.

კლასის ხელმძღვანელმა მნიშვნელოვანია მოსწავლეებს განუმარტოს ტრენინგის მიზანი, ამასთან განუმარტოს, რომ კითხვარის შევსება ემსახურება მათი სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას და რომ იგი არ აისახება საგნობრივ შეფასებაზე.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი და სკოლის დირექტორის მიერ დოკუმენტით განსაზღვრული ადმინისტრაციის თანამშრომელ(ებ)ი. სკოლა სწორედ პასუხისმგებლობისა და ვალდებულების ფარგლებში განახორციელებს თავის ვებ.გვერდზე ადამიანისა და მოსწავლის უფლებების, უფლების დარღვევის შემთხვევაში სკოლაში არსებული დაცვის მექანიზმების არსებობის და მისი გასაჩივრების ეტაპების თაობაზე ინფორმაციის განთავსებას. აღნიშნულით სკოლის მიერ უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო კონვენციებით აღიარებული ადამიანისა და ბავშვთა უფლებების დაცვა/რეალიზება და მოსწავლისა და მშობლის მიმართ ინფორმირებულობის, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების - „იცოდეს თავისი უფლებები - ს“ დაცულობა.

ნაბიჯი II

სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტის საფუძველზე მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისიის შექმნა

განათლება წარმოადგენს, როგორც ადამიანის უფლებას, ასევე სხვათა უფლებების რეალიზების აუცილებელ საშუალებას. საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც მოიცავს უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, უკეთ უზრუნველყოფს საკუთარი ძირითადი მისიის განხორციელებას, რაც მაღალი ხარისხის განათლების თანაბარ მისაწვდომობას გულისხმობს.

ამგვარად, სასკოლო განათლების სფეროში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს ადამიანის უფლებების შესახებ სწავლის შესაძლებლობას და ადამიანის უფლებათა ღირებულებებისა და საფუძვლების პრაქტიკულ გამოყენებას საკლასო გარემოში. სკოლები, რომლებიც ბავშვის უფლებათა დაცვის პრინციპებით ხელმძღვანელობენ მეტად არიან ორიენტირებული ბავშვის ღირსების დაცვაზე.

განათლების უფლება საყოველთაო ხასიათისაა და ყველა მოსწავლეზე თანაბრად ვრცელდება. გარდა ამისა, ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად, განათლების პროგრამა აგებული უნდა იყოს

იმგვარად, რომ არ შეილახოს მოსწავლეების ღირსება და ადამიანის საყოველთაო უფლებები.

ძირითად პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს როგორც ადამიანის უფლებებს, ასევე ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებულ მიდგომას, წარმოადგენს დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

სასკოლო განათლების სექტორში მრავლად არის დისკრიმინაციის დაუშვებლობის გამოყენების შესაძლებლობები, მათ შორის ხარისხიანი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დაუცველ ჯგუფებს.

სკოლა უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო კონვენციებით გარანტირებულ მოსწავლეთა უფლებების დაცვას: ღირსეული მოპყრობის უფლებას, აზრის გამოთქმის უფლებას, პერსონალური მონაცემების დაცვას, გაერთიანების, რწმენის თავისუფლების, ხარისხიანი განათლების მიღების, საკუთარი პიროვნების სრულად განვითარებისა და უსაფრთხო გარემოში სწავლებას, ამასთან უზრუნველყოფს დისკრიმინაციის, ბულინგის აკრძალვას და ა.შ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით სკოლის მეთოდოლოგიური გზამკვლევის“ შესაბამისად, სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტის საფუძველზე ქმნის მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელ კომისიას, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, ფსიქოლოგისა და მოსწავლეების (საჭიროების შემთხვევაში სახალხო დამცველის მოწვეული წარმომადგენლის, უფლებადამცველის) შემადგენლობით, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახდენს მოსწავლის უფლებების დარღვევის ფაქტზე სათანადო რეაგირებას. აღნიშნული ინფორმაცია ასევე გათვალისწინებული იქნება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებაში. მნიშვნელოვანია ხსენებული ხელშეკრულება მკაფიოდ გადმოსცემდეს სკოლაში არსებულ მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისიის ფუნქცია-მოვალეობებს, მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების მექანიზმებს და თანმიმდევრობას. აღნიშნული მოცემულობა უპირველეს ყოვლისა ასახული იქნება სკოლის შინაგანაწესში.

ნაბიჯი III

მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები და პასუხისმგებელი პირ(ებ)ი

სკოლის დირექტორის და ადმინისტრაციის მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს სკოლაში, როგორც ფიზიკური, ასევე ემოციურ/ფსიქოლოგიური ძალადობის აღმოფხვრა: იქნება ეს კლასის მართვის ავტორიტარული სტილი, ბავშვისთვის ყურის აწევა თუ

დამამცირებელი მოქცევა, ნებისმიერი სიტყვა ან საქციელი, რაშიც უარყოფითი გავლენა ვლინდება. ნებისმიერი უსამართლო და მიკერძოებული მოქცევა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.

ბუჩერი და მენინგი (Butcher, Katherine and Manning M. Lee. „Creating Safe Schools“. The Clearing House. 79, No.1 (2005): 55-60) კვლევებზე დაყრდნობით, სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველაზე ეფექტურ სტრატეგიებს გვთავაზობენ. მაგალითად:

- ❖ სკოლის უსაფრთხოებისთვის მუდმივი პრევენციული პროგრამების დაფუძნება;
- ❖ ყურადღება დაბალი დონის ძალადობის აღმოფხვრისადმი;
- ❖ ისეთი სასკოლო კლიმატის შექმნა, რომელიც ყველა ბავშვის მზრუნველობას გულისხმობს;
- ❖ მასწავლებელი სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად პირდაპირ ჩართულია უსაფრთხო სკოლის პროგრამის დაგეგმვაში, რომელიც განსაზღვრავს საკლასო კლიმატს და შესაბამისად საფრთხის შემცველ ან უსაფრთხო გარემოს;
- ❖ სკოლის დირექტორი უპირველეს ყოვლისა უზრუნველყოფს უსაფრთხო და წამახალისებელ სასწავლო გარემოს შექმნას;
- ❖ სკოლაში დირექტორს და მასწავლებელს უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების დაცვის ერთიანი კონცეფცია;
- ❖ სკოლამ ძირითადი ორიენტაცია უნდა აიღოს პროცესზე ორიენტირებულ მიდგომაზე და დანერგოს პროდუქტზე ორიენტირებული მიდგომები საჭიროებიდან გამომდინარე;
- ❖ სკოლა მოქმედებს ეთიკის კოდექსით დადგენილი პრინციპებით. სკოლა მოსწავლეებთან პერიოდულად ატარებს გამოკითხვას მათი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით;
- ❖ სკოლა ნერგავს ინტერნეტ საიტს, სადაც მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა გააზიარონ საკუთარი პრობლემები და მიიღონ რჩევები;
- ❖ სკოლის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსწავლეების მონაწილეობა;
- ❖ სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში უნდა გაიზარდოს მოსწავლის და მასწავლებლის როლი, რადაგანაც ისინი უშუალოდ ესწრებიან მომხდარ ინციდენტს და ფლობენ სათანადო ინფორმაციას.
- ❖ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის როლი და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების აქტიური ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში.

მოსწავლეთა უფლებების დარღვევის ფაქტ(ებ)თან დაკავშირებით სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ, მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელ კომისიას, ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი, მისი არყოფნის შემთხვევაში კი მოადგილე. სკოლის დირექტორის ან მისი მოადგილის მიმართ საჩივრის არსებობის შემთხვევაში სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ან სკოლის მიერ განსაზღვრული პირი.

მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების გაცნობა


სკოლაში ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა დამოკიდებულია ზრდასრული ადამიანების სათანადო რეაგირებაზე, სადაც სკოლის გარდა მნიშვნელოვანი როლი აკისრია მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. ამასთან, უნდა განვითარდეს ბავშვების შესაძლებლობები, რომ მათ შეძლონ საკუთარი უფლებების დარღვევის ამოცნობა. სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისიის თაობაზე დოკუმენტს სკოლა აცნობს მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რაც დასტურდება მათი ხელმოწერით.

მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისიის საქმიანობა ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მშობელი/კანონიერი წარმომადგენლისთვის მისი პროცესის გააზრება და გასაჩივრების ეტაპები ადვილად აღქმადი იყოს. ამასთან, მნიშვნელოვანია მოსწავლეებს უფლებების ცოდნის გარდა გააჩნდეთ გამოცდილება მათი უფლებების დარღვევის ფაქტის აღმოჩენის და გაანალიზების თაობაზე. მასწავლებელთან ერთად მსჯელობის ფარგლებში გადმოსცემენ საკუთარ გამოცდილებებს, რომ გააცნობიერონ წესები და პრინციპები. სკოლა ვალდებულია აღნიშნულ კომისიაში მოსწავლეებს მისცეს მონაწილეობის შესაძლებლობა.


სკოლის ხედვა უნდა იყოს ორიენტირებული ბავშვთა უფლებების დაცვა/აღიარების, გატარებასა და დანერგვაზე მათ პატივისცემაზე, ამასთან, მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ სხვათა უფლებების დაცვა, როგორც უმთავრესი ფასეულობა.

მოსწავლეთა უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმია, როდესაც სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისიის არსებობის, მისი შექმნის მიზნისა და ფუნქცია-მოვალეობების თაობაზე ინფორმაციის საჯაროობას. კერძოდ, სკოლა განახორციელებს ინფორმაციის თავის ვებ-გვერდზე და სკოლის დერეფანში სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე გამოქვეყნებას. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დოკუმენტით უშუალო ინფორმირებას მისი ხელმოწერის დადასტურებით. აღნიშნული კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დარღვევის ფაქტზე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გასაჩივრების მექანიზმის, პროცედურისა და თანმიმდევრობის დაცულობას.

მიზანშეწონილია სკოლამ მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით, გამოსცეს საინფორმაციო ბუკლეტი (რომელიც განახლდება ყოველი ცვლილებების/სიახლეების არსებობისას), სადაც სრულყოფილად აისახება მოსწავლის როგორც უფლებები, ისე ვალდებულებები, რადგანაც მოსწავლე, საკუთარი უფლებების დაცვის ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვანია ფლობდეს ინფორმაციას თავისი მოვალეობების თაობაზე, რათა დაცული იქნას, როგორც საკუთარი, ისე სხვათა უფლებები. ამასთან, აისახოს ინფორმაცია სკოლაში არსებული მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისიის არსებობის თაობაზე, ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით და გასაჩივრების თანმიმდევრობის დაცულობით.



მნიშვნელოვანია სკოლამ, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს განუმარტოს სკოლაში მოსწავლის უფლების დარღვევის ფაქტის თაობაზე ბავშვის უფლების და კანონიერი ინტერესების დასაცავად გამოიყენოს მიმართვის ეტაპების დაცულობის აუცილებლობა.



ნაბიჯი V

საჩივრის განხილვა სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპის დაცვით

მოსწავლეთა უფლებების დაცვის კომისია მიზნად ისახავს ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტების შესწავლას და მათი უფლებების და ღირსების დაცვას. კომისიამ თავისი საქმიანობის პროცესების ეფექტიანად წარმართვისას უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს

კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით დადგენილი წესების დაცვით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტით, განსაზღვრული პრინციპებით და მიდგომებით.

მოსწავლესთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოს კონსტიტუცია, ბავშვის უფლებათა კონვენცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა დამოუკიდებლად დაიცვან თავიანთი უფლებები. უფლებების ცოდნას ბავშვების ცხოვრების გარდაქმნა შეუძლია. ტერმინი „საუკეთესო ინტერესები“ განსაზღვრულია, როგორც „ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესების დაცვა, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით.

სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტში გათვალისწინებული უნდა იყოს კომისიის შექმნის მიზანი, კომისიის შექმნის პროცედურა, წესი, პირობები, საკითხის განხილვის ვადა, წევრების რაოდენობა, სადაც განისაზღვრება შემადგენლობა საქმის შესწავლის ობიექტურობისა და საქმეზე სამართლიანი შედეგის დადგომის თვალსაზრისით. შესაბამისად, შემადგენლობის დაკომპლექტება განისაზღვრება სკოლის დირექციის, მასწავლებლების და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლების თანაბარი რაოდენობით, რათა დაცული იქნეს საქმეზე ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპი.

ასევე ობიექტურობისა და სამართლიანობის მეტი დაცულობისთვის შედეგადად სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი, რომელიც დაერთვება საკითხის შესწავლის შედეგად მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას. კომისია უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დარღვევის ფაქტ(ებ)ზე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საჩივრების რეგისტრაციას და მისი განხილვისთვის საჭირო პროცედურების განხორციელებას. კერძოდ, სკოლაში მოსწავლის უფლების დარღვევის ფაქტის თაობაზე მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი აღნიშნული ინფორმაციის შესაბამისად, ბავშვის უფლების და კანონიერი ინტერესების დასაცავად მიმართავს უპირველეს ყოვლისა სკოლაში არსებულ ზემოაღნიშნულ მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელ კომისიას. ამასთან, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ინფორმირებულია, რომ საკითხის კომისიური წესით განხილვისა და მიღებული შედეგით უკმაყოფილების შემთხვევაში, გასაჩივრების შემდეგ ეტაპს წარმოადგენს, განათლების სფეროში მოქმედი უწყებისთვის ან/და სახალხო დამცველისთვის მიმართვა.

სკოლის ადმინისტრაცია თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში მუდმივად ზრუნავს მოსწავლის უფლებების დაცვა/რეალიზაციაზე.

ამასთან, სკოლა ითვალისწინებს, რომ მოსწავლის უფლებების და ღირსების დაცვისას მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების დაცვა. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პერსონალურ მონაცემთა და კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკას.

ნაბიჯი VI

პრევენციული ღონისძიებები

სკოლას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დანერგოს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნით მეტი პრევენციული ღონისძიება. სკოლა არამხოლოდ ზრუნავს მოსწავლის უფლებების დაცვაზე, არამედ კონტროლს უწევს მათი უფლებების დარღვევის შესაძლო/მოსალოდნელ გარემოებებს, როგორც პრევენციის, ისე ინტერვენციის ელემენტებით. მოსწავლეთა უფლებების დარღვევის ფაქტების მუდმივი აღმოჩენა/გამოვლენა უსაფრთხო სკოლის კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილია. მაგ. ფინეთში თითოეული სკოლა რეგულარულად ატარებს მოსწავლეების გამოკითხვებს მათი უფლებების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით. აღნიშნული მონაცემები ეფექტურს ხდის მოსწავლეთა უფლებების დაცვას.

მოსწავლეთა უფლებების ეფექტური დაცვისთვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია სკოლამ:

- ❖ დაამკვიდროს სასკოლო თუ საკლასო პროცედურები;
- ❖ იმუშაონ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე;
- ❖ შეიმუშაონ დისციპლინის დარღვევის როგორც პრევენციული, ისე აღმკვეთი სტრატეგიები;
- ❖ დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან;
- ❖ მოსწავლეთა უფლებების დაცვის კომისიის მუშაობაში აქტიურად ჩართონ მოსწავლეები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები.

მართალია, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობა დამატებით დროსა და ენერგიას მოითხოვს, თუმცა მათთან ეფექტური თანამშრომლობა სერიოზული ქცევითი პრობლემების თავიდან აცილების საშუალებაა.

მშობლებთან თანამშრომლობისთვის სკოლა შეიმუშავებს პროცედურებს (შეხვედრის პერიოდულობას, მათთან განსახილველ საკითხებს, შეხვედრაში მონაწილე პირებს), რომელიც ასახული იქნება სკოლის შინაგანაწესში. სკოლა ახდენს მშობლის მუდმივ ინფორმირებას. აქტიურად რთავს დაგეგმილ ღონისძიებებში. მშობელს უნდა მიეცეს შესაძლებლობა დაესწროს გაკვეთილებს. მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში სკოლაში განთავსებულ ვიტრინებში გაასაჯაროვონ მათი მიღწევების თაობაზე ინფორმაცია, ასევე ჯილდოები, პრიზები და ა.შ. სკოლა გამოხატავს მათ მიმართ მხარდაჭერას.


სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილი „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით მეთოდოლოგიური

გზამკვლევი“ წარმოადგენს მოსწავლეთა უფლებების დაცვა/რეალიზებისა და პრევენციული ღონისძიებების ხელშემწყობ დოკუმენტს.

ნაბიჯი VII

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება

მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით მეთოდოლოგიურ გზამკვლევაში გადმოვცემთ საზღვარგარეთის ქვეყნების ესტონეთის, დანიის, ირლანდიის, საბერძნეთის, ფინეთისა და აშშ - ს (ტუსლას) გამოცდილებას. კერძოდ, მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, თუ რა ეტაპებს გადის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ბავშვის უფლებების დაცვის მიზნით:



გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. ბავშვის უფლებათა კოდექსი;
4. „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის N57/ნ ბრძანება;
5. „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანება;
6. „მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს N79/ნ ბრძანება;
7. „სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს N80/ნ ბრძანება;
8. „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 26 სექტემბრის N109/ნ ბრძანება;
9. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის N550 დადგენილება („გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“);
10. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილება (ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე);
11. „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N84 დადგენილება;
12. ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა);
13. ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია **USAID** (ბავშვთა უფლებების დაცვა მედიაში – დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტი);
14. შვიდი სტრატეგია ბავშვთა მიმართ ძალადობის დასაძლევად **INSPIRE**;
15. ბავშვთა უფლებები განათლებაში და განათლებისათვის (კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისთვის);
16. ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ;
17. ბავშვთა უფლებების კვლევა (სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის);
18. ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში - ევროკავშირი საქართველოსთვის (დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის);
19. მეოთხე პერიოდული ანგარიში „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე;
20. Education, the law and you – United Kingdom - <https://neu.org.uk/media/596/view>
21. <https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/508012015002/consolide/current>

22. International School of Estonia Student and Parent Handbook - https://ise.edu.ee/wp-content/uploads/Student-Parent-Handbook-20_21.pdf
23. https://ircelt.ibsu.edu.ge/wp-content/uploads/2019/10/IRCEELT-2019_Proceedings-Book_06.08.2019.pdf
24. <https://www.citizensinformation.ie/en/><https://www.citizensinformation.ie/en/education/primary-and-post-primary-education/teachers-and-schools/teachers-duty-of-care/>
29. https://bae.athensisd.net/parents_students/student_discipline_management_plan?fbclid=IwAR0344et5EsVhFUH5iQ-LlWG40_x2tRD7NfF-fOfu1Z1LZeQ8JqRq5xicKY
25. <https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/denmark/fundamental-principles-and-national-policies?fbclid=IwAR321m1FvAQqBda3Y5BnATG1YuvJBGD1riSirpHqmmIvptBzUG8cTAS40TM>
26. <https://www.calameo.com/books/005033132ff8f71241f88>
27. <https://www.citizensinformation.ie/en/education/primary-and-post-primary-education/attendance-and-discipline-in-schools/child-protection-in-school/#0171d2>
28. Butcher, Katherine and Manning M. Lee. „Creating Safe Schools“. The Clearing House. 79, No.1 (2005): 55-60
29. https://edx.emis.ge/courses/course-v1:TPDC+Civ1+2023_B3/courseware/bd2eee14f4a44011b466db15140b3f16/577fa793189245b68855abe0d36047aa/?child=first